ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** ოთხშაბათი, 24 ოქტომბერი № 1620

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

ხუთშაბათს, 25 ოქტო **ქართული თეატრი** მბერს 1901 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით

ვენეციელი ვაჭარი

დრამა 5 მოქმედებად შექსპირისა თარგმანი დ. ყიფიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ლეჟავა, მდივანი და გივიშვილისა; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ევდოშვილი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

შემდეგი წარმოდგენა იქმნება შათირიშვილის ბენეფისი; მზადდება ახალი პიესა „ოქროს ვეშ“ კომ. 3 მოქ.; „მსხვერპლისთვის მსხვერპლი“ დრამა 3 მოქმ.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ე. ვ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ვ. მაღლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ა. ნ. ზატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ა. ვ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ს. ა. ვოინო.—ხირურგიული, ხუთშაბათობით და შაბათობით 1—2 საათამდე.

ი. დ. ბეჟთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. მაღლაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.)

ტელეფონი № 274. (წლ.)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი დავით ზაქარიას ძე მელიქიშვილი უმორჩილესათა სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ **კერძო კრებაზე** ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის დარბაზში, ფრეილინის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურთა. (1—1)

მევინე-მევენახეთა კრება მოხდება დღეს, 24 ოქტომბერს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე, სამეურნეო საზოგადოების სადგომში. (1—1)

მოსარეცხე.

ვიღებ სარეცხს. თეთრეულს, საცვლებს ვრეცხავ სუფთად და პირიანად. სამრეცხველო იმყოფება მე-4 ნაწილში, ბალების (იგივე ბებუთოვის) ქუჩაზე, № 34. იკითხეთ იქვე ალაყაფის კარებთან. (2—182—1)

ტფილისის საადგილ მამულო ბანკის ერთი საჭიროებათაგანი

ფრიად საყურადღებო კითხვაა აღძრული 24 რწმუნებულთა განცხადებაში, რომელიც მიიღო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა გასულს 30-ს აგვისტოს. ეს რწმუნებულნი თხოულობენ საგანგებო კრების დანიშვნას, რომელმაც უნდა განიხილოს შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ ჩვენს ბანკს გირაოს ფურცლების გამოცემაში იგივე უფლება მიენიჭოს, რა უფლებითაც აღჭურვილია საკრედიტო საზოგადოება, ე. ი. ბანკს შეეძლოს სამინისტროს საკრედიტო კანცელარიის ნება-დაურთველად ყოველი სესხის გაცემის დროს გირაოს ფურცლების თავისუფლად გამოცემა. ახლანდელის წესით თითქმის ორი თვე გადის, ვიდრე მსესხებელი იღებს სესხს ბანკიდან მაშინ, როდესაც საკრედიტო საზოგადოებაში ორ კვირასაც არ უნდებიან. აი ამიტომაც კონკურენციის მხრით ჩვენი ბანკი ცოტა არ იყოს ჩამორჩენილია. ზოგიერთი სესხის აღების მსურველი საკრედიტო საზოგადოებას უფრო ეტანება, რაკი ფულის გამოტანა ადვილად და ჩქარა ხერხდება. ამგვარი საზოგადოება თითქმის ყველა ქალაქში არსდება, სადაც კი საქალაქო დებულება არის შემოღებული. ბაქოში, მაგ., უკვე დაარსდა. ბათუმშიაც აპირებენ. ბანკისათვის ამ უფლების შეძენა სწორედ საჭირ-ბოროტო საგანს შეადგენს. ჩვენის აზრით, ამ შინაარსის შუამდგომლობის დაყოვნება საქმისადმი ღალატი იქნება, ამიტომაც, თქმა არ უნდა, ზედამხედველი კომიტეტი ეცდება მალე მოიწვიოს რწმუნებულთა საგანგებო კრება აღძრული კითხვის გარდასაწყვეტად.

რომ უფრო თვალ-საჩინოდ წარმოიდგინოს მკითხველმა საზოგადოებამ, თუ რამდენად დასაბუთებულია ეს შუამდგომლობა და რამდენად საამდროვოა მისი აღძვრა, ჩვენ ცოტა შორიდან დავიწყებთ.

როდესაც არსდებოდა ჩვენი ბანკი, ყველამ ვუწყით საქმის დამაარსებელი ძირეული თანხა შესდგა ცალკე თავად აზნაურობისაგან გამოღებულ (80.000 მან.), ცალკე მთავრობისაგან ნაბოძებ ფულიდან (160.000 მან.). *) ამ წყაროებიდან შემდგარი თანხით დაიწყო მოქმედება ბანკმა. მაშინ მას შეეძლო გირაოს ფურცლების გამოცემა მხოლოდ იმ პირობით, რომ ფურცლების ნომინალური ღირებულობა ათჯერ გამრავლებულ ძირეულ თანხას არ გადაჰსჭარბებოდა. ამის გამო სამინისტროს თვალ-ყურის დევნაც იყო საჭირო, რომ ბანკი თავის უფლების განხორციელების დროს ნორმას არ გადასულიყო და მით მესამე პირების—გირაოს ფურცლების მყიდველების—ინტერესი არ დაეჩაგრა. მაგრამ ამ წესის წყალობით საადგილ-მამულო ბანკის ფინანსიურ ისტორიაში უეჭველია დადგებოდა ისეთი დროც, როდესაც ბანკის მოქმედება უნდა შეფერხებულიყო, რადგანაც ნორმასაც დასასრული ექნებოდა. აი ამ მოუხერხებელი მდგომარეობის ასაცდენად მაშინდელი დირექტორის თავ. ალ. ჩოლოყაშვილის წინადადებით აღიძრა ბაასი ბანკის ზარალის ზღვევაში დაგირავებული მამულების საერთო პასუხის გებაზე და შემზადდა შესაფერი შუამდგომლობაც, რომელიც 1881 წელს მთავრობამ შეიწყნარა. შემოღებული ამ წელიწადს წესი აი რაში მდგომარეობს. ვსთქვათ, მაგ., რომელმამე მსესხებელმა ვადაზე არ შემოიტანა გადასახადი. მაშინ მისი ვალის გასასტუმრებლად ბანკში დაგირავებული მამული საჯარო ვაჭრობით იყიდება. თუ რომ ამ ვაჭრობიდანაც არ შემოვა ვალის გასაბათილებელი ფული, დანარჩენი ზარალი ბანკის მოგებიდან უნდა დაიფაროს; ამის შემდეგ პასუხის გამცემია ბანკის ყველა თავისუფალი თანხა. სულ ბოლოს თუ ვინიცობაა ამ წყარომაც ვერა უშველა-რა, მაშინ მსესხებლებმა უნდა გასცენ პასუხი თავიანთ დაგირავებულ მამულებით. ბანკების ასეთი მდგომარეობა კი იშვიათი მოვლენაა. ამ მხრით თითქმის არც ერთს მაგალითს არ იძლევა ბანკების ისტორია. სამაგიეროდ ამ წესმა უფლება

*) ეს უკანასკნელი ფული თავის სარგებლით ამ წლის ენკენისთვის 12-ის რესკრიპტით ხელმწიფე-იმპერატორმა სრულიად დაუსაკუთრა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას.

ფელეტონი

სასცენო სურათები

(ქალაქელების ცხოვრებიდან)

მესამე სურათი

3. სანახავი

მინადორა, მერე თალალა

ბიჭის ხმა (კულისებში). ბატონო! თუ ვექილი გნებავთ, სახლში არა ბძანდება.

თალალას ხმა. იქით დაიკარგე ვილაცა გდიხარ!

ბიჭის ხმა. ბატონო! ნება არა მაქვს, შეგიშვათ, სახლში არავინ არ არის!

თალალა. მომშორდი მეთქი! მოუცდი შენს ბატონს. (შემოდის აღელვებული, მინადორას რომ დაინახავს.) შენა ბძანდები ჩემი ქალის ფეხი?! ფეხსაც გაგიხმობ და თავსაც, ჯერ დამაცადე! (წინ სცენაზედ წამოჯდება სკამზედ.)

მინადორა (წინ მოვა.). ვინა ხართ, რა გნებავთ?

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1615.

თალალა. (დაუყვირებს.) ხმა ჩაიწყვიტე, შე ურცხვო! არა, ეგრე როგორ უნ.ა დიეცეს ქალი, რომ ასე აშკარად, ასე უსირცხვილოდ ცოლიან კაცს სახლში უვარდებოდეს! კიდევ ასე თამამად და შეუპოვრად ხალხს ენახვება, თითქო ბუზი არ აფრენოდეს!.. მადლობა შენს სახელს, უფალო, რომ ამ დღესაც მოგვასწარი! ღმერთო! რატომ ძირიანად არ აღმოფხვრი ამ ალქაჯების გასაგისს, რომ თავისი საძაგელი ქცევით უმანკო ქალებს არ აუბედურებდნენ! დაილოცა შენი სამართალი.

მინადორა. (გაკვირვებული.) ვინა ხართ თქვენა, რომ ასე უშვერის სიტყვებითილანძღებით?!

თალალა (გაცამსებული წამოხტება). ვილანძღები!—სულ თავ-პირს დაგამტვრევ, შამანს გადმოგადენ! (წამოავლებს სახაზავს და იქით წავა.) აბა დიდექი მანდა და შეიტყობ, ვინცა ვარ, შე ალქაჯო, შენა!

მინადორა. სწორედ გიჟია! (შევარდება ოთახში და კარებს მოიხურავს).

თალალა (კარებთან მივა). აქ მე ერთად ერთი შვილი მეღუპება და რად ილანძღებიო! ვილანძღები კიარა, კაცს მოვკლავ!.. გულში გენია მეკიდება, ლამის ცოცხლად დავიხრაკო და რად ილანძღებიო! (კარებს შეანგრევს და უძახის.) უთხარი, ეხლავე გამოვიდეს, ნუ იმალება, თორემ ამაზედ მეტი არ შემიძლიან! სახლს ცეცხლს წავუკიდებ, ორივეს შიგ კატებივით ამოგწვავთ! უთხარი, ეხლავე გამოვიდეს! არ გესმის? უთხარი მეთქი, შე როსკიპო! თავი ცოცხალი აღარ მინდა! (ბრაზით სახაზავს დაანარცხებს იატაკზედ).

მინადორა. (კარებიდან). აქ ჩემს მეტი არავინ არ არის, ვის რა უნდა ვუთხრა?

თალალა. გეუბნები ეხლავე აქ გამოვიდეს მეთქი!

მინადორა (გამოვა). აი, მობრძანდით და გაჩხრიკეთ, თუ ჩემი არა გჯერათ!

თალალა (კარებში იხედება). ჩემი შვილის გაუბედურებას არავის არ შევარჩენ მეთქი!

მინადორა. (იქით.) მაშ ამისი შვილი ყოფილა სიკოს ცოლი! ეხლა კი მესმის ამისი მწუხარება!..

თალალა. მითხარი, სად არის?

მინადორა. არ ვიცი, სად წავიდა.

თალალა. ერთი მოველაპარაკო და... ჩემ ქალზედ ადრე მე მოვკვდები მაინც! არც შენ დაგისვამ, ქალბატონო, იაფად ჩემი ნაღველის გახეთქას! შენთვისაც მოვიცლი...

მინადორა (მშვიდად). ბატონო! მე რადას მემართლებით? გიცნობთ, მიცნობთ, რა დაგიშავეთ?

თალალა. (იქით გაკვირვებული). ღმერთო! რა დღეს მოგვასწარი! (ამას.) ყმაწვილი ქალი ხარ, ისე როგორ გამოგელია სინიდისის ერთი ნატამალიც არის, რომ აგრე ურცხვად პირშიაც კი მელაპარაკები?

მინადორა (მტკიცედ). მე თამამად და მოურიდებლად გელაპარაკებით, ამიტომ რომ თქვენს წინაშე არაფერი დანაშაულობა არ მიმიძღვის...

თალალა. ჰაა! მაშ მადლობა მოგახსენო, რომ ჩემ ქალს ჯვარ-დაწერილი ქმარი ხელიდან გამოჰგლიჯე?

მინადორა. მე არც თქვენ გიცნობთ, არც თქვენს ქალს და, მაშასადამე, არც არაფერი მტრობა მექნება თქვენი! მე ვებრძვი ჩემ გამწარებულ სიცოცხლეს! (ტირილით მისდის).

თალალა. (დაჯდება, ყურადღებით.) გაიმეორე, რაცა სთქვი, ცოტა ვერ გავიგე!

მიანიჭა ბანკს იმდენი გირაოს ფურცლების გამოცემისა, რამდენიც საჭიროა მისთვის კრედიტის მსურველების დასაკმაყოფილებლად. ახალმა უფლებამ, რა თქმა უნდა, შესამჩნევად წინ წასწია და გააცხოველა ბანკის მოქმედება. ამის შემდეგ ბანკის ძირეულმა თანხამ დაჰკარგა ის მნიშვნელობა, რომელიც მას ჰქონდა წინა ხანაში. ამიტომაც ადვილად მოხერხდა ბანკის დამფუძნებლებისაგან შემოტანილი ფულის დაბრუნება. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით იმ პირთ, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ მსესხებლების საურთიერთო თავმდებობის შემოღების შემდეგ ფინანსთა სამინისტროს ნებართვის გამოთხოვნა ყოველი სესხის გაცემის შესახებ საჭირო აღარ არის ბანკისათვის და თუ კიდევ ძველ წესზე მივდივართ ახლაც, ეს იმიტომ, რომ ეს წესი ჯერ არ არის მოსპობილი თვით ფინანსთა სამინისტროსაგან. აი ხომ არსებობენ საკრედიტო საზოგადოებათა გარდა ისეთი საადგილ-მამულო ბანკებიც, როგორც, მაგალითად, ხერსონის, ლიფლიანდიისა და პოლონეთის საერობო ბანკებია, რომელთაც უფლება აქვთ სამინისტროს ნება-დაურთველად გამოსცენ რამდენიც უნდათ გირაოს ფურცლები. საკრედიტო წესდების მეორმოცე მუხლის ძალით (уст. кр.т. XI, ч. 2, разд. 10, гл. 1, отд. 1) ხერსონის საერობო ბანკის წესდება სამაგალითო წესდებადაც არის აღსარებული ყველა იმ ბანკებისათვის, რომელნიც მსესხებლების საურთი-ერთო თავმდებობაზე არიან დაფუძნებულნი. ფინანსთა მინისტრიც ამ ბანკის წესდების მიხედვით ამტკიცებს ყველა ახლად განზრახულ ამგვარ ბანკების წესდებას...

მაშასადამე ჩვენ უნდა გვიკვირდეს, რატომ აქამდინ არავის არ მოუვიდა ფიქრად ამისთანა შუამდგომლობის აღძვრა!.. ის, რაც სხვა ბანკს კარგა ხანია მოპოვებული აქვს, ჩვენთვის რად უნდა იყოს ძნელი შესაძენი მით უფრო, რომ ჩვენს ბანკს უმაღლესი რესკრიპტის შემდეგ ახალი მოსარჩლეც გაუჩნდა!?.. ამ შუამდგომლობის გაყვანაში, რა თქმა უნდა, დიდს დახმარებას გაუწევს ბანკის გამგეობას იმ წოდების წინამძღოლი, რომელსაც მიენიჭა ბანკის წმინდა მოგების განაწილების უფლება სხვა-და-სხვა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად...

გრ. დიასამიძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხრეთ-აფრიკა. მგელი პირუხუმრივ მირბოდა თურმე და უკან ძაღლი მისდევდა. ძაღლი ისე გათამამდა, რომ მგელს კინაღამ ფეხებს ახქდებოდა. მგელს ჯავრი მოუვიდა, მობრუნდა და უთხრა: სიტყვა ეგ კი არ არის, რომ მივდივარ და მომდევო, სიტყვა ის არის, როცა მოგიბრუნდე და კბილები დაგიკაწკაწო, ყოჩაღად დამხვდეო.

ბურების მთავარ-სარდალი ლუი ბოტა ნატალის საზღვრიდან ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა, უკან ინგლისელები მისდევდნენ. საქმე ისე გაუჭირეს, რომ ერთხელ ბოტამ თავისი შლიაპა და რევოლვერიც კი დასტოვა,—გემს თქვენს თვალში იყოსო, და ძლივს წაუსხლტა ხელიდან ინგლისელებს. ბოტა ისევ თავის გზას გაუდგა, მაგრამ ინგლისელი პოლკოვნიკი ბეტსონი კვალ და კვალ მისდევდა და მოსვენებას არ აძლევდა. ბოტა გასჯავრდა ამდენი შეწუხებისაგან, მოუბრუნდა და, როგორც დეპეშაში ეწერა, თქვენს მტერს დაადგეს ის დღე, რაც ბეტსონის რაზმს დააყენა. ბევრი მოკლული და დაჭრილის გარდა, ორი ზარბაზანიც წაართო. თითონ პოლკოვნიკი ბეტსონიც მაბზე გაისტუმრა.

ასე მალე ინაზღაურა ბოტამ თავისი შლიაპა და რევოლვერი.

ინგლისი. სამხრეთ-აფრიკის ომის თაობაზე ჩემბერლენს ეთქვა:

«შარშან გამოვაცხადეთ, რომ ბურებთან ომი გათავდაო. ეს შეცდომა იყო. მთავრობას არ ეგონა, თუ ბურები ამდენ წინააღმდეგობას შეიძლებდნენ, მაგრამ მარტო მთავრობას ხომ არ მიაჩნდა ომი გათავებულად. ყველაც ამ აზრისა იყო. ამიტომ მთავრობას არც ისე დიდი ცოდვა ჩაუდენია, როგორც მისი მტრები ამტკიცებენ. ბურებს ეხლა აღარაფრის იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ ზავზე მოლაპარაკებას და რაიმე შეთანხმებას ინგლისის მთავრობა ფიქრადაც აღარა ჰფიქრობს. ომი ინგლისის გამარჯვებით უნდა გათავდეს. ლმობიერებასა და გულ-კეთილობას თავი უნდა დავანებოთ. ბურებს სასტიკად მოვექცეთ. მაგრამ რაც უნდა სასტიკად მოიქცეს, მაინც ინგლისი არას დროს არ მიაღწევს იმ გულქვაობასა და უდიერობამდე, როგორც ევროპის ყველა დიდ სახელმწიფოებს გამოუჩენიათ ხოლმე. ინგლისს ისეთი არა ჩაუდენია რა, რომ სხვა სახელმწიფოებს უარესი არ ჩაედინოთ. მაგალითად, გერმანიას 1870—1871 წ.წ. ომის დროს განა ჩვენზე კარგად ექცეოდა ფრანგებს».

ჩემბერლენი ყველაფერში სტყუის, სტყუის ირლანდიელებთან, სტყუის ბურებთან, მაგრამ ევროპიელებზე კი სრული სიმართლე უთქვამს. რაც მართალია, მართალია. ათასის არ იყოს, ყველასთან ქურდი ვარ, შენთან სწორე ვარო. ყველასთან ტყუის ჩემბერლენი, მაგრამ ევროპიელებთან კი არა. გერმანელ პროფესორებს და სტუდენტებს ცეცხლი მოეკიდებოდათ, ჩემბერლენის სიტყვები რომ გაეგოთ. სხვა ქვეყნების რუსული გაზეთებიც ძლიერ გაუწყრნენ ჩემბერლენს და ყველანი ერთხმად პროტესტს უცხადებენ. მართალია ინგლისი მეტად უსამართლოდ და გულ-ქვად იქცევა სამხრეთ-აფრიკაში, მაგრამ სხვა ევროპიელები უარესად მოიქცეოდნენ. შორს წასვლა რად გინდათ? მოიგონეთ, შარშან როგორ იქცეოდნენ ჩინეთში: ყველანი თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გულქვაობასა და უდიერობაში, თითქო მხეცობის ჯილდოს აღება ეწადა ყველას. მოიგონეთ გერმანელი «ჰუნების წერილები», ბლაგოვეშჩენსკთან 7000 მშვიდობიანი ჩინელის მდინარე ამურში დარჩობა და სხვა. ან ეხლა კი ევროპიელები განა უკეთესად ექცევიან სხვა და სხვა ხალხებს, სინამ ინგლისელები? თავის დღეში არა, ამიტომ თქვენც დამეთანხმებით, რომ ინგლისის «ბოროტ სულს» მართალი უთქვამს და თვალიც მოუთხრია ევროპიელებისათვის.

იმაში კი სტყუის ჩემბერლენი, ვითომ სამხრეთ-აფრიკის ომი შარშან ყველას დასრულებული ეგონებოდეს. ომის წინადაც კარგად იცოდა, რომ ბურებთან ომი მეტად გაჭირდებოდა. დიდებულმა გლადსტონმა 20 წლის წინად ერთი შეხედვით შეატყო, რომ ბურებთან ომი ხეირს არ დააყრიდა ინგლისს და ხელად შეურიგდა. ამის თაობაზე იქვე შოტლანდიაში, ქალ. ედინბურგში ლიბერალების მეთაურს კემპბელ-ბანერმანსაც ულაპარაკნია და ჩემბერლენისათვის თითო-თითოდ პასუხი მიუცია. ყური დაუგდეთ კემპბელ-ბანერმანის ლაპარაკს და თქვენც დამეთანხმებით, რომ სხვა ქვეყნებს ჯერ კიდევ ბევრი მოუცდებათ ინგლისთან:

«ყველანი კი არა სცდებოდნენ, მარტო მთავრობა სცდებოდა და მარტო მთავრობა ამტკიცებდა შარშან შემოდგომაზე, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი გათავდაო. მთავრობაც კარგად ჰხედავდა, რომ ეს ომი სრულებით არ იყო დამთავრებული, მაგრამ განგებ იბრმავებდა თვალებს: საზოგადო არჩევნებში გამარჯვება უნდოდა და ამიტომ ხალხსაც თვალებს უხვევდა, ომი გამარჯვებით გათავდაო. რაკი არჩევანში გაიმარჯვა, მერე თითონ მთავრობამ გამოაცხადა, ომი ნამდვილად არ გათავებულაო. ეხლა სასტიკობასა და უდიერობას გვიწუნებენ. ნამდვილად კი ეს სასტიკობა და უდიერობა უფრო გაამწვავებს ბურებს და ომს უფრო გააძნელებს. თუ გვინდა, რომ ამ წყეულ ომს ბოლო მოუღოთ, უსათუოდ შეღავათიანი, საპატიო პირობებით უნდა შეურიგდეთ ბურებს, თორემ სამხრეთ-აფრიკაშიაც მეორე ირლანდია გაგვიჩნდება და ინგლისისათვის ეხლანდელი ირლანდიაც საკმაოა.

ირლანდიელ დეპუტატებს უჩივიან და უსაყვედურებენ, ინგლისის მტრებს ემხრობიანო, მაგრამ ირლანდიელები განა ტყუიან? მაშ რა ჰქნან, მაშ რანაირად უშველონ თავიანთ საწყალ ქვეყანას, თუ არა იმ გზით, რა გზასაც ადგანან. ლიბერალებს კავშირი არ შეუკრავთ ირლანდიელებთან, მაინც ბევრ საგანში ყოველთვის ეთანხმებოდნენ და ამას იქითაც დაეთანხმებიან ირლანდიელებს.

ირლანდიის საკუთარი პარლამენტი სჭირია და უწინაც და ეხლაც ყოველთვის იმ აზრისა ვარ, რომ ირლანდიას უეჭველად საკუთარი პარლამენტი მიეცეს. მთავრობა შესცდაო, მაგრამ შეცდომა მეტად ძვირად დაუჯდა ინგლისის ერს. მალე მოვესწრებით იმ დროს, როცა ჩვენი ერი გააგდებს ამ შეცდარ მთავრობას».

ლიბერალური გაზეთები აქებენ კემპბელ-ბანერმანის ნალაპარაკევს და ერთხმად ჰკიცხავენ ჩემბერლენს. რომ შეცდა მთავრობა, ეს არაფერია, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ მთავრობა ამ შეცდომის გასწორებას აღარა ჰფიქრობსო.

საფრანგეთი. მთელი ერთი თვე იქნება, რაც განათლებული საზოგადოება მარტო საფრანგეთის მუშების საყოველთაო გაფიცვაზე ლაპარაკობს. «რუსსკია ვედომოსტი»-ის პარიზელი კორესპონდენტი დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ამბავს («რუსსკია ვედომოსტი» № 287).

მთელი საფრანგეთის ყურადღება სენტ-ეტიენის შრომის ბირჟამ მიიზიდა. ამ ბირჟაში მენახშირე-მუშების კომიტეტის შვიდ წევრს თათბირი ჰქონდათ გამართული. კომიტეტის წევრები უბრალო მუშები არიან და მაღნებს გარეშე არავინაც არ იცნობს. მაგრამ ეხლა დიდი საქმე აქვთ დავალებული ამ მუშებს: უნდა გადაწყვიტონ, თუ როდის დაინიშნოს მუშების საყოველთაო გაფიცვა. ამ 7 მუშას თავიანთ ნებით შეუძლიანთ მთელ საფრანგეთში ნახშირის მაღნებში მუშაობა შეაყენონ, რამდენიმე ხნით ყველა რკინის გზები, ქარხნები და ფაბრიკები უნახშიროდ დასტოვონ, მრეწველობის სხვა დარგებშიაც მრავალი გაფიცვა გამოიწვიონ და მთავრობას საქმე გაუჭირონ. აი ამიტომ პარიზშიაც და პროვინციაშიაც მუშების კომიტეტის თათბირს დიდ ყურადღებას აქცევდნენ და მათ განაჩენს ხომ მოუთმენლად ელოდებოდნენ. პალატამაც, რასაკვირველია, ამ საქმეს მიაქცია ყურადღება. რა წამს შეიყარა, მაშინვე მუშების საქმეზე ცხარე კამათი გაიმართა. პალატის პირველ კრებას დეპუტატებს გარდა, მრავალი ჟურნალისტი და გარეშე ხალხი დაესწრო. ყველა გულით იყო მონდომებული, ჩქარა გაეგო სენტ-ეტიენში «შვიდი მუშის კომიტეტმა» რა გადაწყვიტა და დეპუტატთა პალატა რა თვალით შეჰხედავს მუშების საქმესა. სენტ-ეტიენიდან მოსული ამბები ყველას პირზე ეკერა, ყველა გაცხარებით ლაპარაკობდა მუშების საქმეზე. პარიზში წინადვე იცოდნენ, რომ მენახშირე-მუშების კომიტეტი თითქმის ორ თანასწორე დასად იყოფაო. ერთი დასი თხოულობდა, საყოველთაო გაფიცვა ეხლავე გამოვაცხადოთო, მეორე კი ცდილობდა, ეს გაფიცვა სხვა დროისთვის გადავდოთო. აქნობამდე ზომიერი მუშები სჯაბნობდნენ და ამიტომ კომიტეტმა პალატის შეკრებამდე მოიცადა. იმედი ჰქონდა, ეგები მთავრობამ მუშების მოთხოვნილება შეასრულოს და ამით კომიტეტს საბუთი მისცეს, რომ გაფიცვა გადადოსო. ბოლოს კი სენტ-ეტიენიდან ამბავი მოვიდა, კომიტეტის უკიდურესმა წევრებმა ლამის თავისი გაიყვანონ და საყოველთაო გაფიცვა მოახდინონო.

ამისთანა უზარმაზარი გაფიცვა, ისიც იმისთანა დიდ საქმეში, როგორც ქვა-ნახშირის მრეწველობაა, რასაკვირველია, ყველას დააფიქ-

---

მანადორა. ყური მიგდეთ და გაიგებთ. მე მხოლოდ ეხლა აზრით მივხვდი, რომ ამ ყმაწვილის ცოლი თქვენი ქალი უნდა იყოს...

თალალა. „ეხლა მიხვდი“! თუ ეხლა მიხვდი, როდესაც მოუარდი ჩემს სახლში და წამოათრიე, მაშინ კი „მიხვედრილი“ არ იყავი? ვინ იყო ამისი აქ გადმოსვლის მიზეზი, თუ არ შენა?

მანადორა. დამაცადეთ, ბატონო, მოგახსენოთ და ყველაფერს შეიტყობთ. ჯერ ერთი, რომ მე ის სულაც არ წამომითრევია... მე ისე არა ვარ თქვენთან დამნაშავე, როგორც თქვენ თქვენს ქალთან...

თალალა. ბძანეთ, იქნება კიდევ ახალი გავიგო რამე.

მანადორა (სკამზე ჩამოჯდება). მე შორის მხრიდან გახლავართ და პირველადა ვარ ქალაქში. წელიწადზე მეტი იქნება, რაც ეს ყმაწვილი გავიცანი ბათუმში ერთს საზოგადო საღამოზე კლუბში. ეს ახლად სწავლა-დამთავრებული რუსეთიდან მოდიოდა. მე ყოველთვის მოტრფიალე ვიყავი უმაღლესს სასწავლებელში მოსწავლე ჩვენის ყმაწვილობისა,—ამისათვის სიხარულით გავიცანი ეს ყმაწვილი, მომეწონა, და დროთა განმავლობაში შემიყვარდა კიდეც. შემიყვარდა თავ-დავიწყებამდის... (თვალებს იწმენდს.) ორი თვე დარჩა ეს ბათუმში ვიღაც ნაცნობთან თუ ნათესავთან. მე კიდევ დეიდა ჩემთან ვიყავი და ბავშვებს ვასწავლიდი—ჩემს დეიდაშვილებს; მთელი სახლიც მე მებარა. კარგი მოვლისა და ჩაცმა-დახურვის გარდა, დეიდა თვეში 25 მან. მაძლევდა...

თალალა (გულდაძრული). გისწავლიათ სადმე?

მანადორა. დიაღ, შვიდი კლასი შევასრულე და დეიდამ თავისთან წამომიყვანა, რადგანაც დედ-მამა ერთს თვეში დამეხოცა და უპატრონოდ დავრჩით მე და ორი ჩემი პატარა ძმა... რასაც ვშოულობ, იმათ ვახმარებ... სწავლობენ... (სტირის). ოთხი წელიწადია მას აქეთ...

თალალა (თვალებს იწმენდს). ღმერთო! რა უბედური ყოფილა ეს საბრალო! (იმას) მერე, შვილო?

მანადორა (დამშვიდდება). იმ ზაფხულს ექიმებმა ურჩიეს დეიდას, რომ ზღვის აბანოებში ევლო და ამის გამო გახლდით ბათუმში (შესვენებს). გავიცანი ეს ყმაწვილი, როგორც მოგახსენეთ, და ძალიანაც შემიყვარდა. ვატყობდი, თითქო იმასაც არა ნაკლებ ვუყვარდი... ცოლ-ქმრობის სიტყვა მივეცით ერთმანეთს და... მეც მივენდე. და როგორ არ მივენდობოდი, როდესაც ის თავის ყმაწვილ-კაცურ მისწრაფებას, თავის უღრმესს ცხოვრების დედა აზრს, თავისი უმაღლესი სწავლის სიწმინდის დაცვას მეფიცებოდა!.. მეტადრე როგორ გამიტაცებდა ამგვარი შემოფიცვა მაშინ, როდესაც სტუდენტსა ვსთვლიდი უანგარო უმაღლეს ქმნილებად, წმინდა მოციქულად, დავრდომილთა და დაცემულთ მაშველად და ჭეშმარიტების მღაღადებლად,—და აი!..

თალალა (შეწუხებული). სიტყვას გაგაწყვეტინებ, შვილო! მე უბრალო და უსწავლელი დედა კაცი ვარ, და ქმარიც ამისთანა მყავანდა, პატიოსანი მუშა კაცი. როდესაც ვინატრებდი, ნეტავი დიდი ნასწავლი სიძე ვიშოვო მეთქი, განსვენებული მეტყოდა: „გარეგნობას ნუ აქცევ ყურადღებას, ჩემო კარგო, იცოდე, რომ ხშირად გაქონილ ჩოხისა და ტყავის ქვეშ უფრო მეტი პატიოსნება და სინიდისი იფარება, ვიდრე გაკრიალებულ-გასპეტაკებულ ტანისამოსში“. და აი ეხლა ამიხდა!..

მანადორა. დეიდა ჩემი სიხარულით ფეხზე არ იდგა; დაჰპირდა კიდეც, კარგ ალაგს გიშოვიო. ისე დადიოდა ჩვენსას, როგორც ჩემი საქმრო. ერთ დღეს გამოგვეთხოვა და ქალაქში წამოვიდა, ვითომ ალაგის საძებნელად. წერილებს პირველად ხშირად იწერებოდა, ბოლოს იშვიათად. ერთხელ ჩამოვიდა კიდეც ბათუმში და გვითხრა, დიდ ალაგს დამპირდნენო. სამი დღე იყო და წამოვიდა. მას აქეთია არა ვიცოდით რა. დღე და ღამ'იმის წერილის მოლოდინში ვიყავით და არა გველირსა რა. ბოლოს გულმა ვერ გამიძლო, და წამოვედი. მხოლოდ აქ შევიტყე, რომ ცოლი შეურთავს..

თალალა. (თანაგრძნობით.) მომიტევე, შვილო, რომ უსიამოვნება მოგაყენე! გამწარებული დედის გულმა როგორ უნდა მოინელოს ასეთი თავის მოჭრა!—მე ეხლა ყველა ჩემი მტერი მგონია! მაპატიე (ჰკოცნის). აბა, შვილო, საბრალო დედაშენს რომ ეცოცხლა, როგორ მოიქცეოდა ამ შემთხვევაში?

მანადორა. (ცრემლით.) დედა კი არა, დე-

რებდა, მარტო მონარქისტებსა და ნაციონალისტებს უხაროდათ. ამ ვაჟბატონებს ხომ ყოველი შფოთი და არეულობა სანატრელად მიაჩნიათ. ყველაზე ძლიერ კი ეს მოსალოდნელი გაფიცვა მუშების დეპუტატებს აფიქრებდა: ვაი თუ ეს გაფიცვა მუშების დამარცხებით გათავდეს და ისიც სწორედ იმ დროს, როცა საზოგადო არჩევნები კარზე მომდგარი. ამიტომ მუშების დეპუტატები ძლიერ უწყრებოდნენ ვალდეკ-რუსოს, მილერანს და ბოდენს: მთელი ზაფხული ისე გავიდა, რომ ხელიც არ გაანძრიეს და შენახშირე მუშების სამართლიანი მოთხოვნილება ნამცეცადაც არ შეასრულესო.

სოციალისტების თხოვნით დეპუტატ ბასლიმ ხელ და ხელ კანონ-პროექტი შეადგინა და ყველა მუშების მოთხოვნილება შიგ მოაქცია. რამწამს პალატის კრება გაიხსნა, ბასლიმ ეს კანონ პროექტი წარადგინა და მოითხოვა: პალატა ეხლავე შეუდგეს ამ პროექტის განხილვას და მარტო ერთი წაკითხვის შემდეგ მიიღოსო (პალატის წესდების ძალით, ყოველი კანონ-პროექტი ორ-ორჯერ უნდა წაიკითხონ, თუ პალატამ არ დაადგინა, რომ ერთჯერ წაკითხვაც კმარაო). პირველი მინისტრი ვალდეკ-რუსო დიდის ხალისით დასთანხმდა, ბასლის კანონ-პროექტს ერთჯერ წაკითხვაც ეყოფაო, მაგრამ ამ წამს პალატა არაა მომზადებული, ამისთანა საყურადღებო კანონ-პროექტი განიხილოსო. ამიტომ რუსომ მოითხოვა, ბასლის კანონ-პროექტი შრომის კომისიას გადავცეთ განსახილველადაო. მუშები თხოულობდნენ: 8 საათის სამუშაო დღე და მინიმალური ქირა დაწესდესო, (მინიმალური ქირა—ესე იგი დაწესდეს, რომ ამდენ-ამდენი ქირის ხაკლებ არ უნდა მიეცეს მუშებსაო). ამას გარდა ყოველ მოხუცებულ მუშას დღეში ორი ფრანკი პენსია ეძლევესო. პირველმა მინისტრმა მუშების ყველა მოთხოვნილება თით-თითოდ გაარჩია.

დანარჩენს ხვალ მოგახსენებთ.

ახალი ამბავი

✦ გუშინ საღამოს ქალაქის საბჭოს სხდომაზე ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრად 28 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 6 ხმისა ამორჩეულ იქმნა ტ. ა. ენფიანჯიანცი.

✦ 21 ოქტომბერს ტფილისში გაიხსნა **მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების განყოფილება.** დამაარსებელთა კრებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ხსენებულ საზოგადოების თავმჯდომარე გრაფ. უვაროვისა, აირჩია განყოფილების თავმჯდომარედ სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი ბ. ლოპატინსკი, ხაზინადრად—კავკასიის მუზეუმის დირექტორის თანაშემწე ბ. მილლერი, ხოლო მდივნის არჩევნები შემდეგისათვის გადადვა. კრებამ ამასთანავე დაადგინა: სთხოვოს დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოოზის ძეს თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს კავკასიის განყოფილება და საპატიო წევრებად აირჩიოს: ხელმწიფე მემკვიდრე მიხეილ ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრები ნიკოლოოზ და გიორგი მიხეილის ძენი, კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მისი თანაშემწე ა. ა. ფრეზე, საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე, სომეხთა კათოლიკოსი მკრტიჩი და გრაფ. უვაროვისა.

განყოფილების 1-ლი სხდომა მოხდება შაბათს, 27 ოქტომბერს, ტფ. 1-ლ სავაჟო გიმნაზიის შენობაში. ამ სხდომაზე, სხვათა შორის, ე. ს. თაყაიშვილი წაიკითხავს მოხსენებას ქართულ ნაშთების შესახებ.

✦ გუშინ საღამოს დაიწყო სამეურნეო საზოგადოების სადგომში **მეურნეთა კრება** ბ. შიმანოვსკის თავმჯდომარეობით.

✦ მიწად-მოქმედების მინისტრისაგან მევინე-მევენახეთა კრებების თავმჯდომარეს ბ-ნ სტაროსელსკის ამბავი მოუვიდა, რომ მევინე-მევენახეებს 1 ნოემბრამდე შეუძლიანთ განაგრძონ სხდომებიო.

✦ საუფლისწულო მამულების სამმართველოს უფროსი თ. კოჩუბეი ატყობინებს ტფილისის ქალაქის თავს, რომ ხსენებული უწყება თანახმაა ქალაქმა გამოიყვანოს თავისთვის წყალი **ნატახტარის წყაროებიდან,** ხოლო საჭიროა უწყებამ იცოდეს კონცესიის პირობები და რაოდენობა საზღაურისა, რომელსაც ქალაქი მისცემს უწყებას წყლის სარგებლობისათვის. თ. კოჩუბეის აზრით, საუკეთესო იქნება, თუ დაინიშნება ფასი, თუნდა პატარაც, თითო ვედრო წყალზე. რაც შეეხება სესხს ამ საქმის მოწყობისათვის, ყოვლად შეუძლებელია, რომ ქალაქმა იგი საუფლისწულო უწყებისაგან მიიღოს.

✦ სიღნაღის მაზრაში, **რუსების** ერთ ახალს სოფელში საშინელი ციებ-ცხელება გაჩენილა და ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა გადმოსახლებულნი ძეღლოფლის წოროში გადაეყვანა.

✦ გუშინ-წინ, 22 ოქტომბერს, პოლიციამ შეიპყრო ტფილისში **ყაჩაღი** ალავერდი-ყიაზიმ-ოღლი, რომელმაც ამას წინათ ბორჩალოს მაზრაში გაძარცვა დილიჟანსი.

✦ **ქუთაისის სავაჟო გიმნაზია** ითხოვს შეატყობინონ მას ცნობები, თუ სად სწავლობენ შემდეგი ყმაწვილები: ალექსანდრე ჯაფარიძე, ნიკ. ღლონტი, თედო კაკოიშვილი, ინდიქტიონ ჯაფარიძე, გერმან გოგიტიძე, ალექსანდრე ღლონტი, იასონ კიზირია, ნიკ. მგელაძე, ივანე ჯაფარიძე, ალექსანდრე ნიკოლაიშვილი, დიმიტრი ანთაძე, ალექსანდრე ჯაში და მიხ. მდივანი. ეს ცნობები გიმნაზიის მმართველობას სჭირია იმის გამოსარკვევად, თუ ვინ უნდა დარჩეს ამათგანი პანსიონში მისაღებ კანდიდატთა სიაში.

✦ **სამეურნეო საზოგადოების** სოჭის განყოფილებას გადაუწყვეტია იშუამდგომლოს განყოფილებასთან საკუთარ გაზეთის გამოცემის ნება-რთვაზე.

✦ ტფილისის ქალაქის თავმა წინადადება მისცა **დამის თავ-შესაფრების** გამგე-კომისიას იზრუნონ თავ-შესაფრების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სამწუხაროდ, ჯერ სადგომების რემონტი ვერ გაუთავებიათ და ბევრი საწყალი ხალხი თავ-შესაფრების გარეთ რჩება.

✦ იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა **მევინე-მევენახეობისათვის** საზღვარ-გარეთიდან შემოსატან იარაღების სიის შედგენა, უკვე დაამთავრა თავის მუშაობა.

✦ რუსული გაზეთები იტყობინებიან, რომ საერო განათლების სამინისტროში აღძრულია კითხვა **მასწავლებელ-ქალების** მოწვევაზე გიმნაზიებში არა მარტო ახალ ენების მასწავლებლად. პირველ ხანებში ქალები იქნებიან მასწავლებლებად გიმნაზიის პირველ ოთხ კლასში. ფინანსთა სამინისტროშიაც აღძრულა ეგევე კითხვა.

✦ ამ მოკლე ხანში საერო განათლების სამინისტროში დაიწყებს მუშაობას კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ხსენებულ სამინისტროს შტატების გადიდებისა და **მასწავლებლების ჯამაგირების** მომატების საქმის გამორკვევა.

✦ სამთო დეპარტამენტი მალე შეუდგება სტატისტიკურ ცნობების შეკრებას იმის შესახებ, თუ რამდენია **წერა კითხვის მცოდნე** სახაზინო და კერძო მადნებში მომუშავეთა შორის.

✦ **კომერციულ სასწავლებლების** კურსდამთავრებულთ მომავალ წლიდან ნება მიეცემათ უეგზამენოთ შევიდნენ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

✦ ტფილისის **სასაკლაოს ბეითალმა** გუშინ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის საყასბოსა და საქონლის ბაკების შესაკეთებელი ყოველ წლიური საჭირო ფულის ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის გამგეობის სამშენებლო განყოფილების ტეხნიკოსისაგან იქმნეს ხოლმე შედგენილი სასაკლაოს ადმინისტრაციის თანადასწრებით და ამასთანავე აღნიშნულ დაწესებულების შეკეთების დროს საყასბოს ზედამხედველი ეხლენი ესწრებოდნენ; ბეითალი თვის მოხსენებაში თხოულობს აგრეთვე შეიცვალოს საყასბოს მოიჯარადრესთან დადებული ხელშეკრულების ის მუხლი, რომლის ძალითაც მას ეძლევა უფლება ძველი მასალა იხმაროს სადგურების ახლად შეკეთების დროს. საყასბო და საქონლის სადგურის შეკეთების დრო უნდა დანიშნული იქმნეს თებერვალსა და აგვისტოს შუა, რადგანაც ამ დროს საყასბოზე შედარებით უფრო ცოტა პირუტყვი იკვლის.

✦ **ფუშკინის** მეორე ახალ სკოლაში გახსნისათანავე მოისურვეს შესვლა [illegible] ბავშვმა; მიღებით კი 40 მიიღეს. ს[illegible] ქალაქის ყველა სკოლებში სწავლობს [illegible]ხლო 2750 მოსწავლე; სკოლა სულ 18-ია.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა **სატრაქტირო გადასახადის** გამწერ კომისიას, 10 ნოემბრამდე დაასრულოს თავისი მუშაობა.

✦ გათავდა **ხარჯის გაწერა** მეჩაიებ შორის; უდიდესი გადასახადი უდრის 110 მ., უმცირესი—20-ს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას საფინანსო კომისიასთან ერთად მალე ექნება სხდომა ქალაქის **სიფილიტიურ საავადმყოფოს** სადგომის რემონტის გამო. გამოანგარიშებულია, რომ ეს რემონტი 14-ათას მანეთი დაჯდება. ამავე სხდომაზე ლაპარაკი იქმნება საავადმყოფოსათვის ახალი შენობის აგებაზე, რაც ბევრად უმჯობესი იქმნება, რადგან ძველ უვარგის შენობის შეკეთებისათვის ამოდენი ფულის დახარჯვა ყოვლად შეუწყნარებელია. ამ ათის წლის განმავლობაში ამ საავადმყოფოს რემონტზე დახარჯულა 40-ათას მანეთამდე.

✦ შინდისის ეკლესიის მოსახლეთა მოსაკირწყლავად დახარჯული ფულის ნახევარი 99 მან. ქალაქის გამგეობას შეუწერია რიგისამებრ ამ ქუჩის მცხოვრებლის ნატალია ანანოვისათვის. ანანოვისას მთავარ-მართებლისათვის მიუმართავს, სიღარიბის გამო ამ ფულის გადახდა არ შემიძლია და განმათავისუფლეთო. მთავარ-მართებლის ბრძანებით გუშინ ტფილისის გუბერნატორი შეეკითხა ქალაქის გამგეობას ამ საქმის გამო.

✦ 20 ოქტომბერს, ერევნის მოედანზე, პოლიციელს შეუმჩნევია ორი კაცი: ერთს ტომრით მიჰქონდა რაღაც ნივთები, ხოლო მეორეს მწვანილი ჰქონია. პოლიციელს ისინი დაუკავებია; დაჭერილები ბევრს ხვეწნიან პოლიციელს—გაგვიშვითო—და 60 კაპ. შეუძლევიათ, მაგრამ მას არ გაუშვია და პოლიციის მ-5 ნაწილშიაც წაუყვანია; გამოძიებით აღმოჩენილა, რომ დაკავებულნი ქუთაისის გუბერნიის სოფ. ხუნძას მცხოვრებნი დათა და ისიდორე პაილაძეები ყოფილან. დათა პაილაძეს განუცხადებია, რომ იგი ტფილისის სახელოსნო სასწავლებელშია მოსამსახურედ და მან ეს ნივთები სახელოსნოს შენობის კედელთან ნახა და მიჰქონდა თავისს ნაცნობთან შესანახავად. როცა ეს ნივთები სახელოსნო სკოლის დირექტორისათვის წარუდგენიათ, მას უთქვამს, რომ ეს ნივთები სკოლისაათ; პაილაძეები პოლიციამ გასასამართლებლად მომრიგებელ მოსამართლეს გადასცა.

კავკასიის გამოფენა

გამოფენის გამართობელ კომისიამ ხელახლავ გადასწყვიტა მოსპოს წარმოდგენები გამოფენის თეატრში და ზარალის შესავსებად დაიწყონ წარმოდგენების მართვა თავად-აზნაურობის თეატრში.

**

კვირას, 21 ოქტომბერს გამოფენაზე ყოფილა 4268 კაცი დღისით და 50 სალამო-

---

იდამ რომ შეიტყოს, რომ სიკოს ცოლი შეურთავს, თავს მოიკლამს!..(დამშვიდდება.) მე მოვედი თქვენს სახლში მარტო იმისთვის, რომ ის მენახა და სახეზედ შემეხედნა: რამ გამოცვალა, რამ ჩაადენინა ჩემი ღალატი! და მერე ან ავად, ან კარგად დავადგებოდი ჩემ გზას.

თალალა. მერე რა გიპასუხათ?

მინადორა. თქვენა ბძანეთ, რას მიპასუხებდა? მე მომატყუა დროს გასატარებლად და თქვენ ფულის გულისთვის!.. (განაგრძობს.) მაშინ მითხრა, რომ თქვენს სახლში ცხოვრება არ შეუძლიან და გადასვლას აპირებს. მე იმის ლაპარაკს ყური არ ვუგდე და გადავწყვიტე, თავი მომეკლა... სხვა რაღა დამშთენია! მაგრამ უცბათ დეიდაჩემი მომაგონდა, რომელიც წამოსვლის დროს ცრემლით შემუდარებოდა: „შვილო, თუ ვერა გააწყო რა, გონებას ნუ დაჰკარგავ, ჭკუით მოიქეცი და მალე დაბრუნდიო; ავადმყოფი დედაკაცი ვარ და მე რომ რამე დამემართოს, ჩემ შვილებს შენს მეტი პატრონი არავინა ჰყავთო“. აი ამან შემაკავებინა თავი, რომ არა ავიტეხე რა!—და აი დღესვე წასვლას ვაპირებ. ამის შემდეგ ღმერთმა ნუ დამანახვოს აქეთკენ მომავალი კაცი!..

თალალა (შეწუხებული).ოო, საბრალოვ. რა ვიცოდი შენი თავგადასავალი! რომ იცოდე, შვილო, როგორ თანაგიგრძნობ!... ერთი მსხვერპლი სახლში მყავს, მეორე შენა ხარ! წამოდი, წამოდი, შვილო, ჩემთან; ის შვილი მომიკვდეს, თუ იმაში გამოგარჩიო! როდემდისაცა გსურს, იყავი ჩემთანა, და როცა კი მოინდომებ, მე თითონ გაგისტუმრებ... და ამ ვერაგს კი... გაძლევ დედაშვილურ სიტყვას, რომ, მუხლის ჩოქითაც რომ მოვიდეს ჩემს სახლში, არამც თუ სახლში არ შემოვუშვებ, ხმასაც არ ამოვაღებინებ და როგორც ავაზაკსა და დაცემულ მტყუარას, ისე გამოვისტუმრებ!. ეხლა მოემზადე, თუ რამე ბარგი გაქვს, და კაცს გამოგიგზავნი, ჩემთან გადმოდი, ვიდრე წახვიდოდე. მე პატარა საქმე მაქვს, მეჩქარება. (ჰკოცნის) იქნება მე თითონაც მოვიდე... მაგრამ უთუოდ მოვალ, ეს საჭიროა! (ჩქარა გადის).

მინადორა (მარტო). ღმერთო! ესეთი შეურაცხყოფა, ესეთი დამცირება ადამიანისა, ესეთი ვერაგობა! (ტირილი მოსდის). ორი უდანაშაულო მსხვერპლი ერთი კაცის პირუტყვულ-ავაზაკური სურვილისა! მერე როგორი კაცისა?!. (დაცინვით.) საიმედო მამულიშვილისა, სწავლით მოსილისა და კაცობრიული უღრმესი ლტოლვილებით გამსჭვალულისა!.. ვაი ჩვენს დაცემას! ვაი ჩვენს მისწრაფებას! ვაი ჩვენს წამხდარ იმედებს.

4 ს ა ნ ა ხ ა ვ ი

მინადორა და სიკო.

სიკო (შმოდის გაფითრებული). ამდენ ჰირს კი ველარ გავუძლებ! (ქუდს და ქაღალდებს სტოლზედ დაჰყრის).

მინადორა. მე მინდა, უკანასკნელი სიტყვა გითხრათ და...

სიკო. მე ეხლა თქვენთვის არა მცალიან, გთხოვთ, მარტო დამტოვოთ.

მინადორა. მაინც რაღა უნდა გითხრათ! (შედის ოთახში).

სიკო (აღშფოთებული დადის). რაღა ეს მინდოდა! ერთი საქმე ვერ მომინელებია და მეორე უარესი თავს დამატყდა! (უბიდან წერილს ამოიღებს). „ვისწრაფი, შეგატყობინო არა სასიამოვნო ამბავი: პეტო ჩამოვიდა აქა, ბაქოში, და მიჰყო ხელი ქაღალდის თამაშობას. რაც შენგან გამოგზავნილი ფული ჰქონდა, ან კიდევ სხვა კერძო პირებიდან გამოტანებული, სულ ქაღალდში წააგო; ვალიც დაიდო. შენს სახელობაზე რაღაც ყალბი ხელშეკრულობა დაუდვია სხვა და სხვა ფირმებთან, ფული აუღია და ისიც ქაღალდში გაუფლანგავს. ბოლოს ცუღლუტობა შეუტყეს და სტაცეს ხელი. ჩვენ, აქ მყოფ ნაცნობთა, არავიცოდით რა და როცა გავიგეთ, გვიან-ღა იყო. ამისი ციხეში დაპატიმრება უნდოდათ და შენზე კიდევ საჩივრის გამოგზავნა პროკურორთან, რადგანაც ყველა ყალბი ქაღალდები შენს სახელობაზე არის შემდგარი. საქმე, როგორც იყო, შევაჩერეთ. თუ ამ ერთ კვირაში ათას თუმანს არ გამოგზავნი, საქმე დაღუპულია: პეტო ხომ დაიღუპება და დაიღუპება, არც შენ დაგეყრება ხეირი! არ მესმის, ძმაო, ასე თავხედად როგორ იქცევით, ბავშვები ხომ აღარა ხართ?! შენი დათიკო“. ღმერთო! სიკვდილი არა სჯობია ამისთანა სიცოცხლეს! სად ვიშოვო ეხლა ათასი თუმანი?! (მაგიდასთან დაჯდება და თავზედ ხელს იტაცებს).

ა. ცაგარელი

(დასასრული)

თი, ორშაბათს, 22 ოქტომბერს, დღისით—9[illegible] ... სამშაბათი 23. სულ ამ ორ დღეში ...[illegible] ...ლია გამოფენას 928 მ. და 50 კ.

**

გუშ[illegible]-წინ ექსპერტიზა მოახდინეს გამოფენი[illegible] დეკორატიულ მცენარეების განყოფი[illegible]ლებაში.

**

ამავე დღეს გამოსცადეს ჰიდრავლიური ავტოელევატორი (წყლის ასაზიდი მანქანა) ხანაგოვისა. გამოცდა კარგად გათავდა.

მეღვინე-მევენახეთა კრება

—

21 ოქტომბერს კავკასიის მეღვინე-მევენახეთა კრებამ პირველად განიხილა მოხსენება ბ-ნ ზავაროვისა იმის შესახებ, რომ გავრცელებულ იქმნეს მთელს კავკასიაზე 1900 წლის 16 თებერვლის კანონი სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემის შესახებ. საქმე ის არის, რომ, უმაღლესის მთავრობის ნება-რთვით, სახელმწიფო საბჭომ შეიმუშავა შემდეგი განსაკუთრებული წესი შავი ზღვის პირის გუბერნიისათვის: რუსეთიდან ჩამოსახლებულ გლეხობას იჯარით ეძლევა სახელმწიფო მიწა დესიატინა 2—5 მან.; დასახლებული გლეხი ხუთის წლის განმავლობაში იჯარით სარგებლობს ამ მიწებით, ხოლო შემდეგ, თუ მოისურვებს, შეუძლიან სულ შეისყიდოს საიჯაროდ აღებული მამული, რისთვისაც მიწის ღირებულება ნელ-ნელა უნდა გარდაიხადოს 20 წლის განმავლობაში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კავკასიაში ბევრია თავისუფალი და შეუმუშავებელი მიწა, რომელზედაც დასახლების შემდეგ შეიძლება მათი განაყოფიერება, ვენახების გაშენება და ამით მრავალ უმიწა-წყლო ბოგანო ხალხის დასახლ-კარება. ბ. ზავაროვი აცხადებს სურვილს, რომ აღნიშნული კანონი გავრცელდეს კავკასიის გლეხებზედაც და თხოულობს შუამდგომლობის აღძვრას.

კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა შუამდგომლობა იქმნას აღძრული სათანადო მთავრობასთან, რომ მთელს კავკასიაზე იქნას გავრცელებული 1900 წლის 16 თებერვლის კანონი, მაგრამ რამდენისამე საჭირო შეცვლითა და დამატებით. ამ შეცვლისა და დამატების მოსახდენად კრებამ კომისია აირჩია და მას დაავალა ზავაროვის მოხსენების დამატებათა და განმარტებათა დაწვრილებით განხილვა და შემდეგ კრებაზე თვისი მოსაზრების წარმოდგენა. კომისიაში წევრებად ამოირჩიეს ბ.ბ. დანდუროვი, ზავაროვი და რადულოვიჩი.

ამავე სხდომაზე კრებამ განიხილა თავ. ვახვახიშვილის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიის მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა გავლენას იქონიებს მეღვინე-მევენახეობაზე კავკასიაში მაგარ სასმელებზე მონოპოლიის შემოღება.

კრებაზე წაკითხულ იქმნა ბოლტინის პატარა წიგნაკი „მონოპოლიის გავლენა ღვინის ვაჭრობაზე“ და ამგვარად დასურათებულ იქმნა მდგომარეობა ყველა იმ გუბერნიების მეღვინეებისა, სადაც უკვე შემოღებულია მონოპოლია. კომისია თვის მოხსენებაში უცილობელ ფაქტად აღიარებს იმას, რომ ღვინის გატანა ბაზარზე იმ გუბერნიებში მეტად შემცირდა; ზოგს ადგილებში კი თითქმის სრულიად მოისპო ბაზარში ღვინის გასყიდვა. ყირიმის მეღვინე მევენახეებს კიდეც მიუმართავთ ასეთ არა სასურველ გარემოების გამო ფინანსთა მინისტრისათვის თხოვნით, რომ მოსპობილ იქმნეს მონოპოლია. ბესარაბიის გუბერნიაში ისე გაუჭირდათ მეღვინეებს ღვინის გასაღება, რომ 100 ვედრა ღვინოს 20, 15 და 10 მანეთადაც ჰყიდიან თურმე, მაგრამ არავინ არის მისი მყიდველი- ბოთლი ღვინო 1 კაპ. გამხდარა. ვედრა ღვინო ბესრაბიაში, ადრე 3 მანეთად ღირებული, ეხლა 40 კაპ. ძლივს გადის. ყველა ამ გარემოებას გამოუწვევია ხალხში საშინელი მთვრალობა, რასაც შედეგად ყოველივე სისაძაგლე მოჰყოლია. როცა შეჰკითხებიან ხალხს, თუ რად სჩადიან ამას, უპასუხნიათ—ღვინო არავის მიაქვს და ხომ არ გადავაქცევთო. ამას წინად ბესარაბიის მეღვინეებსაც ერთხმად მიუმართავთ ფინანსთა მინისტრისათვის შეცვლილ იქნეს წესი პატენტების მიღებისა ღვინით მოვაჭრე მესარდაფეებისათვის.

ყველა ზემოდ აღნიშნულ გარემოებათა გამომწვევი მიზეზი უმთავრესად არის არაყის კონკურენცია. წესი პატენტების მიღებისა, ცირკულიარი, რომლის ძალითაც მესარდაფემ სარდაფის გახსნამდე ოთხის თვის წინად უნდა ითხოვოს ნებართვა; თუ აღნიშნულ ვადაზე სარდაფის გახსნა ვერ მოასწრო, ხელ მეორედ თხოვნა უნდა წარადგინოს, სადაც ჯერ არს; მოწმობის მოთხოვნა ნოქრებისა და თვით მესარდაფეს ყოფა-ქცევის შესახებ და სხვანი.

კარგა ხნის კამათის შემდეგ კრებამ, თანახმად კომისიის მოხსენებისა, მიიღო შემდეგი წინადადებანი: 1) აღიძრეს შუამდგომლობა უმაღლესს მთავრობის წინაშე, რომ კავკასიაში არ იქნეს შემოღებული მაგარ სასმელებზე მონოპოლია; 2) იმ ადგილებში, სადაც მონოპოლია უკვე შემოღებულია, შეცვლილ იქნეს წესი პატენტების მიღებისა; 3) ნათლად იქნეს გამორკვეული თუ რა მოეთხოვება იმ პირთ, რომელთაც უნდათ ღვინით ვაჭრობის დაწყება; 4) ნება მიეცეთ თვით მოვაჭრეებმა გამოირჩიონ სავაჭრო ადგილები, თანახმად არსებულის წესისა; 5) შეიცვალოს წესი, რომლითაც უნდა ნაჩვენები იქნეს ადგილები ღვინის გასატანად და გასასყიდლად; 6) ნება მიეცეთ მეღვინეებს ჰყიდონ რუსეთის ყველა დასახელებულ ადგილებში ურმებითა და ნავით მოზიდული ღვინო; 7) ჭაჭის არაყზე დაწესდეს ბაჟი, ხოლო შაღავათის შესახებ შუამდგომლობა კონიაკსაც შეეხოს.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

23 ოქტომბერი

პეტერბურგი. 22 ოქტომბერს პეტერბურგის ბირჟის სადგომში ჩაჰყარეს საძირკველი იმპერატორის ალექსანდრე მესამის ძეგლისა. საძირკვლის ჩაყრას დაესწრო ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კოვალევსკი. 22 ოქტომბერს ჩაჰყარეს საძირკველი ბავშვთა სავადმყოფოსი, რომელშიაც 400 საწოლი იქნება. ამ სავადმყოფოს ქალაქი აკეთებს ხელმწიფის გვირგვინის კურთხევის სახსოვრად და უჯდება 1,700,000 მანეთი.

კალუგა. ქიზდრის საერობო კრებამ დაადგინა, რომ საპენსიო კასსისათვის მასწავლებელ ქალთა და კაცთა ჯამაგირებიდან გამორიცხული ფულის შევსება ერობამ იკისროს.

ფეოდოსია. ერობა შუამდგომლობს, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკის გახსნის ნება მისცენ, რათა წვრილ მემამულე გლეხთ სესხი ეძლეოდეთ ამ ბანკიდან.

ვილნო. 20 ოქტომბერს დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე რკინის გზის სადგურიდან პირდაპირ წავიდა იუნკერთა სასწავლებელში, სადაც მიეგებნენ საოლქო შტაბის უფროსი და სასწავლებლის უფროსი. მისი უმაღლესობა დაესწრო მოსწავლეთა გაკვეთილებს, აგრეთვე საუზმესა და სადილს და მოსწავლე იუნკრებს რამოდენიმე კითხვა მისცა. დიდმა მთავარმა ისაუზმა ჯარის უფროსთან და შემდეგ ინახულა თეთრი ჯვრის სკოლა. იუნკრებმა აღტაცებულის „ურა“-ს ძახილით გააცილეს დიდი მთავარი, რომელიც საღამოს წავიდა.

პარიზი. ხმელთა შუა ესკადრის გემებს ამზადებენ ზღვაში წასასვლელად. ამბობენ, კრიტსა და პირეიში მდგომ გემებს ბრძანება მოუვიდათ კალიარს შეუერთდითო.

პარიზი. კრეისერი „ადმირალ შარნერი“, რომელიც ჩინეთიდან უნდა დაბრუნებულიყო, პორტ-საიდიდან გამოვიდა და პირდაპირ ტულონისაკენ გაემართა ისე, რომ ადმირალ კალიარის საზღვაო დივიზიას არ შეერთებია.

ვიგო. რუსეთის გემი „კრეისერის“ ოფიცრებმა ესპანიელები საუზმეზე მიიწვიეს. საუზმის დროს ესპანიისა და რუსეთის სადღეგრძელოები დალიეს.

მოსკოვი. 22 ოქტომბერს ფსიხიატრებისა და ნევროპატოლოგების წლიურ კრებაზე დოქტორ ბაჟენოვმა გოგოლის ავადმყოფობისა და სიკვდილის შესახებ მოხსენება წაიკითხა. ბაჟენოვის გამოკვლევით, გოგოლი რაკი 24 წლისა გახდა, მას აქეთ მუდმივი მელანქოლიით იყო ავადო, და ამისგანვე გარდაიცვალა თანაც ექიმებსაც ცუდად ეწამლათო. წრუბელებს ასხამდნენ სასაქმებელ წამლებს აძლევდნენ თურმე, როდესაც ავადმყოფს ნამდვილად კარგი ჭამა-სმა ეჭირვებოდა. ელექტრო-ტეხნიკების კრება 28 ოქტომბერს გაიხსნება და 5 იანვრამდე გასტანს. კრების დროს ელექტრონული გამოფენაც გაიხსნება.

ბელგრადი. საერო კრების დეპუტაციამ მეფეს ადრესი წარუდგინა. მეფემ გამოუცხადა დეპუტაციას: ტახტის მემკვიდრეობაზე კამათი საჭირო აღარ იქნებაო; ეს საქმე საერო კრების თანხმობით იქნება გადაწყვეტილიო.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის მთავრობის მიერ გავრცელებული ხმა, ვითომც ლორანდოს საქმე სრულიად გათავებულია, და ამით საფრანგეთ-ოსმალეთის უთანხმოება გათავებულად უნდა ჩაითვალოსო, მართალს არა ჰგავს. თუმცა გამოცხადებულია ხონთქრის ბრძანება, რომლითაც საფრანგეთის საელჩოს ეუწყა პორტა მზადაა სულ მოკლე დროს განმავლობაში გადაიხადოს 345,000 ოსმალური გირვანქა ლორანდოს დასაკმაყოფილებლადო, მაინც ბაპსტმა უპასუხა, რომ რადგანაც ხონთქრის წინადადება არაფრით უზრუნველ-ყოფილი არაა და ამასთანავე არც ნამდვილად არის აღნიშნული, თუ როდის იქნესს გასტუმრებული საფრანგეთის მთავრობის მოთხოვნილება, ამიტომ არას გზით არ შეიძლება ეგ წინადადება მიღებულ იქმნესო.

პარიზი. დიუპუის სამინისტროს გაზეთი „პტი პარიზიენ“ აცხადებს, როცა ეს გაუთავებელი საქმე დაბოლავდება, საფრანგეთმა ხელახლად უნდა მოსთხოვოს ოსმალეთის მთავრობას, რომ საფრანგეთს შეუსრულებს აღთქმულ პირობებს; როგორც ისმის, დელკასე მხოლოდ მაშინ წარუდგენს პალატას მოხსენებას ამ საქმეზე, როცა კალიარის ექსპედიცია დანიშნულ ადგილს მივა.

ლონდონი. სადღესასწაულო სადილზე, რომელიც ტახტის მემკვიდრის დაბრუნების პატივსაცემლად გაიმართა, მეფემ სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: „თუმცა სამწუხაროდ, ომი ჯერ ისევ არის, მაგრამ ჩვენ მაინც მხურვალე ლოცვას აღვავლენთ ღვთის მიმართ, რომ ქვეყანას მშვიდობა გადმოუვლინოსო“.

პარიზი. დეპუტატი სემბა საფრანგეთ-ოსმალეთის უთანხმოების თაობაზე ეკითხება მთავრობას. დელკასე თანხმობას აცხადებს: ილაპარაკეთ და მეც გიპასუხებთო. სემბა თხოულობს, რომ მთავრობამ პარლამენტის ნება დაურთველად არ იმოქმედოს; ორატორი ამბობს: აღმოსავლეთი ხიფათიანი ქვეყანააო და მიკვირს, რომ საფრანგეთმა რაღაცა წვრიმალი საქმისათვის ასე თავი გამოიდო, როდესაც სომხების ამოწყვეტის დროს ხმაც არ ამოუღიაო. მთავრობამ უნდა შეატყობინოს პარლამენტს: როდის და რა პირობით დაიბარებს უკან ესკადრას. დასასრულ ორატორი სურვილს აცხადებს: სახელმწიფოებმა ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ ხონთქარს აღარ შეეძლოს სომხების დახოცვაო (უკიდურესი მემარცხენეთა დასი ტაშს უკრავს). კოშენი ამბობს: საფრანგეთმა სხვა სახელმწიფოებთან ერთად უნდა მოითხოვოს, რომ ხონთქარმა ბერლინის ხელშეკრულება შეასრულოსო. ორატორმა ტრანსვაალის საქმეც გაიხსენა და დაჰგმო ბურების წინააღმდეგ დაწყებული ომი. დასასრულ კოშენმა იკითხა: სახელმწიფოები მოსთხოვენ ხონთქარს, რომ აღთქმული რეფორმები შეასრულოს თუ არა. ტრიბუნაზე დელკასე ადის. დელკასე უპასუხებს: საფრანგეთს არას დროს არ დაჰვიწყებია სომხების საქმე. თავისი ქვეშევრდომების ქონებრივ ინტერესებსაც იცავს და არც ზნეობრივი ინტერესები ავიწყდება. უსათუოდ საჭიროა, რომ საფრანგეთმა ოსმალეთს უსამართლო ქცევისა და საქმის გაჭიანურების პასუხი მოსთხოვოს და დაანახვოს, რომ საფრანგეთს მოთმინების გარდა, სხვა საქმის უნარიც აქვს. მინისტრი ამბობს, ოსმალეთი ისე ურიგოდ მოიქცა ტუბინისა და ლორანდოს საქმეში, რომ საფრანგეთი იძულებული იყო, დიპლომატიური ურთიერთობა შეეწყვიტა. საფრანგეთი არაფერ ახალ სარგებლობას არ დაეძებს, მარტო ის სწადიან, რომ მის ინტერესებს პატივისცემით ასრულებდნენ. საფრანგეთი არას დროს არ მოითმენს, რომ მის საქველმოქმედო დაწესებულებას, სკოლებს და სამრეწველო საქმეებს ხელი ახლოს ვინმე. მართალია ბევრი მოვითმინეთ, მაგრამ მით უფრო მხნედ მოვიქცევით. (ტაშის ცემა).

სიმლა. ბენგალიის ცხენოსანი მე-17 პოლკის 32 ჯარის-კაცს 21 ოქტომბერს მახსუდები დაეცნენ. 13 სიპაი მოჰკლეს. როგორც ისმის, ბევრი მახსუდი დაუტყვევებიათ.

პარიზი. პალატა. დეპუტატების პასუხად დელკასემ სთქვა: სომხებისა და საზოგადოთ ქრისტიანე ერების საქმე არას დროს არ დამვიწყებიაო. მაკედონიასა და ძველ სერბიასაც ძრიელ აწუხებს ოსმალეთიო. საფრანგეთი ყოველნაირად ეცდება, რომ ბერლინის ხელშეკრულობა შეასრულებინოს ოსმალეთს. კამათი დასრულდა.

პარიზი. პალატა. სემბა ურჩევს პალატას: ამნაირი რეზოლიუცია დავადგინოთო: „დარწმუნებული, რომ საფრანგეთი მოვალეა სომხებს ნამდვილი მფარველობა გაუწიოს და რომ სხვა სახელმწიფოებიც შეუმსუბუქებენ ამ მფარველობას, პალატა სხვა მორიგ საქმეების განხილვას შეუდგება“. შესტიენი კიდე სხვა რეზოლიუციას ადგენს. მთავრობაც მიემხრო ამ რეზოლიუციას, მაგრამ პალატამ 227 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 212 სემბას რეზოლიუცია ამჯობინა. ვალდეკ-რუსსომ უარ-ჰყო სემბას რეზოლიუცია, რადგანაც ამ რეზოლიუციით პალატა ნდობას არ უცხადებს მთავრობას; ეს ნდობა კი მეტად სჭირია მთავრობას, რადგანაც ამ ჟამად მეტად მძიმე და რთული საქმე აქვს შესასრულებელიო. (ტაშის ცემა) რიბო ამბობს: მთავრობას პოლიტიკა არ მოსწონს და ამიტომ ნდობასაც არ გამოუცხადებო. ბრისონი ამბობს: ეხლა რომ მთავრობას ნდობა არ გამოუცხადოთ, მაგით საფრანგეთის სახელს დავამცირებთო, ამიტომ ვსთხოვ ყველა რესპუბლიკელებს მთავრობას ნდობა გამოუცხადოთო. სემბას რეზოლიუცია 394 ხმის უმეტესობით 75 წინააღმდეგ უარჰყვეს. შასტენეს რეზოლიუცია, რომელსაც მთავრობა მიემხრო, პალატამ 302 ხმის უმეტესობით მიიღო 241 წინააღმდეგ. ეს რეზოლიუცია ამნაირია: პალატა ენდობა მთავრობას და იმედი აქვს, რომ საფრანგეთის სახელსა და ინტერესებს დაიცავს და მორიგ საქმეების განხილვას შეუდგება. შასტენეს რეზოლიუცია პალატამ 305 ხმის უმეტესობით მიიღო 77 წინააღმდეგ. პალატის კრება დაიხურა.

ლონდონი. სამხრეთ-აფრიკიდან გამო[illegible] დევნილთა დასაჯილდოებლად შემდგარმ[illegible] კომისიამ დღევანდელს სხდომაზე გადასწყვიტა, რომ ამ საქმის შესახები სხდომა ოთხშაბათამდე გადასდოს. მაშინ უნდა მოისმინონ რუსეთის ერთის ქვეშევრდომის მოთხოვნილება, რომელიც რუსეთთან შეთანხმების დროს მოხსენებული არ იყო, და რომელიც საბერძნეთის ქვეშევრდომთა მოთხოვნილებას შეეხება. რადგანაც საფრანგეთის წარმომადგენელთან მოლაპარაკება სასურველად ვერ დასრულდა, გადასწყვიტეს მომავალ ორშაბათს განაგრძონ მოლაპარაკება საფრანგეთის ერთის მოვალის მოთხოვნათა შესახებ, რის გამოც ვრცელი წერილი წაიკითხეს.

ბრისტოლი. ხაზინის კანცლერმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ადვილად შესაძლებელია პარლამენტის მომავალ სესსიის დროს ომის გამო გადასახადს მოუმატონო.

ვენა. საბერძნეთის მეფის ძე გეორგი კოპენჰაგენიდან აქ მოვიდა.

რედაქტორი ხელ. ჭუმბაძე. გამომცემელი ხელ. ჯაბადარი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Октября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.